საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №165/ნ

2019 წლის 8 აგვისტო

ქ. თბილისი

„ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის №63/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2018 წლის 5 ივლისის №3024-რს საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის №63/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 11/05/2017, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.017522) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და:

1. ბრძანების:

ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტის:

ა.ა) „ო.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული 56-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის შენიშვნის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ა.ბ) „ქ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული 69-ე მუხლის (დანართი 8) მე-2 პუნქტის („მეორე უცხოური ენა საბაზო საფეხურზე“) შესავლის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) დანართები – გრამატიკა (ფრანგული, გერმანული, რუსული, იტალიური).“;

ბ) მე-3 მუხლის „ა“ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 მუხლი:

„მუხლი 4

ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ო.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმის **56-ე მუხლის 2^1 პუნქტი** ამოქმედდეს:

ა.ა) VII კლასისთვის 2019-2020 სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან, გარდა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა;

ა.ბ) VIII კლასისთვის და VII კლასის საგნისთვის – ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები 2020-2021 სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან;

ა.გ) IX კლასისთვის – 2021-2022 სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან;

ბ) „ო.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმის **56-ე მუხლის 3[1] პუნქტი** ამოქმედდეს:

ბ.ა) VII კლასისათვის – 2020-2021 სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან;

ბ.ბ) VIII კლასისათვის – 2021-2022 სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან;

ბ.გ) IX კლასისათვის – 2022-2023 სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან.

გ) „ო.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმის **56-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი** ამოქმედდეს:

გ.ა) ქართულენოვანი სკოლების VII კლასისთვის 2019-2020 სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან (გარდა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა), ხოლო არაქართულენოვანი სკოლების VII კლასისთვის – 2020-2021 სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან;

გ.ბ) ქართულენოვანი სკოლების VIII კლასისათვის – 2020-2021 სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან, ხოლო არაქართულენოვანი სკოლების VIII კლასისათვის – 2021-2022 სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან;

გ.გ) ქართულენოვანი სკოლების IX კლასისათვის – 2021-2022 სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან, ხოლო არაქართულენოვანი სკოლების IX კლასისათვის – 2022-2023 სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან;

დ) „ო.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმის **56-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის:**

დ.ა) „ბ.ა“ ქვეპუნქტი ქართულენოვანი სკოლების VII კლასისთვის ამოქმედდეს 2019-2020 სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან (გარდა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა), ხოლო არაქართულენოვანი სკოლებისათვის – 2020-2021 სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან;

დ.ბ) „ბ.ბ“ ქვეპუნქტი მხოლოდ ქართულენოვანი სკოლების VIII კლასისთვის ამოქმედდეს 2020-2021 სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან, ხოლო არაქართულენოვანი სკოლებისათვის – 2021-2022 სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან;

დ.გ) „ბ.გ“ ქვეპუნქტი მხოლოდ ქართულენოვანი სკოლების IX კლასისთვის ამოქმედდეს 2021-2022 სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან, ხოლო არაქართულენოვანი სკოლებისათვის – 2022-2023 სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის მინისტრი **მიხეილ ბატიაშვილი**